

ჯონი აფაქიძე მეცნიერთა საერთაშორისო კონგრესზე გაემგზავრა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯონი აფაქიძე პოლონეთში, ტორუნის უნივერსიტეტში გაემგზავრა, სადაც ის 2010 წლის 27 ივნისიდან 1 ივლისამდე საერთაშორისო კონგრესის „**მსოფლიო საზღვრებს გარეშე - მეცნიერება საზღვრებს გარეშე**“ მიიღებს მონაწილეობას. კონგრესი ორგანიზებულია პოლონეთის ჰუმბოლდტის საზოგადოების მიერ.

ის ითვალისწინებს მსოფლიო მასშტაბის დისკუსიებს მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინების ურთიერთქმედებაზე, გარემო პირობების ზეგავლენის შესახებ ადამიანის საქმიანობაზე და ცივილიზაციის განვითარებაზე. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს მრავალი შესანიშნავი მეცნიერი როგორც პოლონეთიდან, ისე მთელი მსოფლიოდან.

350 მონაწილეს შორის იქნება 40 უცხოელი მომხსენებელი და მრავალი წარმომადგენელი ჰუმბოლდტის ევროპული კლუბებისა. ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდს წარმოადგენს მისი პრეზიდენტი, პროფესორი ჰელმუტ შვარცი.

პროფესორ ჯონი აფაქიძე თავის მოხსენებას **”ახალი საერთაშორისო არქეოლოგიური გათხრები ტროაში”** წაიკითხავს 28 ივნისს შუადღის პლენარულ სესიაზე.